განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის აუცილებლობით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფუძნებას დამოუკიდებელი იურიდიული პირების სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ ემსახურება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფუძნებისა და ფუნქციონირების ახალი, ეფექტური სისტემის დანერგვას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელი იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტს არ ექნება ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

აღნიშნული შეფასებები არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ივანე კიღურაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ივანე კიღურაძე